

Yersinia - შავი ჭირის გამომწვევი პათოგენური მიკროორგანიზმები

ნათია თამარაშვილი

natia.tamarashvili482@ens.tsu.edu.ge

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №3

შავი ჭირი უძველესი დროიდან ცნობილი განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებაა, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში.

ისტორიაში ცნობილია შავი ჭირის 3 დიდი პანდემია, რომელსაც შეეწირა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, ახლაც ყოველწლიურად აღინიშნება 1000-დან 2000-მდე ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევები და ხასიათდება ლეტალობის მაღალი მაჩვენებლით.

მოგვიანებით, შავი ჭირით გარდაცვლილთა ჩორჩხის დნმ-ის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაავადების გამომწვევი აგენტი იყო *Yersinia pestis*. ნაშრომში განხილულია შავი ჭირის გამომწვევი მიკროორგანიზმების *Yersinia*-ს და მის მიერ გამოწვეული დაავადების გავრცელება, დაავადების გადაცემის გზები, *Yersinia pestis*-ით გამოწვეული დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი, მკურნალობისა და პრევენციის მეთოდები.